დანართი 1.

პოეზიის საერთაშორისო კონკურსის „SLAMOVISION 2026" დებულება

1. **ზოგადი დებულება:**

1.1 კონკურსის ორგანიზატორია თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

1.2 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პროფესიონალ და მოყვარულ მწერლებსა და პოეტებს, რომელთათვისაც სავალდებულოა კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება.

1.3 კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ ორი კონკურსანტის მონაწილეობის შემთხვევაში.

2. **კონკურის მიზანი:**

UNESCO-ს ლიტერატურის ქალაქების პოეზიის საერთაშორისო კონკურში „SLAMOVISION 2026" ქუთაისელი პოეტებისა და მწერლების მონაწილეობის მიღება და მათი პოპულარიზაცია.

3. **კონკურსის თემა:**

კონკურსის თემატიკა - თავისუფალი

4. **კონკურსის პირობები:**

4.1 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ქუთაისში რეგისტრირებულ პროფესიონალ და მოყვარულ პოეტებსა და მწერლებს.

4.2 კონკურსი გამოცხადდება: 2026 წლის 14 აგვისტოდან.

4.3 კონკურსანტმა მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე უნდა გამოაგზავნოს საკუთარი ლექსის ვიდეოჩანაწერი (პოეზიის სლემი), ბიოგრაფია (150 სიტყვა) და ლექსი ვორდის ფორმატში.

4.4 ვიდეოჩანაწერი უნდა იყოს გაკეთებული პირდაპირი ჩაწერით რედაქტირების ან სპეციალური ეფექტების გარეშე.

4.5 ვიდეოჩანაწერს შესაძლოა დაემატოს სუბტიტრები.

4.6 კონკურსანტს სლემის ჩაწერა შეუძლია ნებისმიერ ენაზე.

4.7 კონკურსში მონაწილე პოეტთა და მწერალთა ასაკი არ არის შეზღუდული;

4.8 სლემ ვიდეო უნდა ჩაწეროთ შემდეგი პარამეტრებით:

- ვიდეო გადაღება - landscape.
- ქრონომეტრაჟი - მაქსიმუმ 4 წთ.
- 1080p რეზოლუცია, a 16:9 aspect ratio
- ფორმატი.mp4 ან.mov (h.264 / h.265 ან apple ProRes)
- Bit სიხშირე მინიმუმ 6Mbps

4.9 კონკურსანტმა ვიდეოჩანაწერი უნდა გადმოაგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: ana.doghonadze@kutaisi.gov.ge

5. **საკონკურსო კომისია**

5.1 კონკურსს ეყოლება პროფესიონალებისაგან დაკომპლექტებული კომისია, რომლის შემადგენლობაში იქნება, როგორც სფეროს წარმომადგენლები, ასევე პირები ადგილობრივი თვითმმართველობიდან.

5.2 კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებით.

6. **შეფასების კრიტერიუმები:**

6.1 კონკურსში წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერის შეფასებას ახდენსქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული დროებითი კომისია.

6.2 კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერის 20 ქულიანი შეფასებით, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	ვიდეო სლემის კონცეპტუალური ნაწილი	0-10
2	ვიდეო სლემის ვიზუალური ნაწილი	0-5
3	ვიდეო სლემის ტექნიკური პარამეტრების თავსებადობა კონკურსის პირობებთან	0-5
სულ		**20**

6.3 კომისიამ გამარჯვებული უნდა გამოავლინოს არაუგვიანეს **5 სექტემბრისა.**

6.4 გამარჯვებული პოეტის ვიდეოჩანაწერი გაიგზავნება პოეზიის საერთაშორისო კონკურსზე ,,SLAMOVISION 2026"

6.5 გამარჯვებული კონკურსანტის ვიდეოჩანაწერს საერთაშორისო კონკურსზე ,,SLAMOVISION 2026" წარადგენს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

7. დროებითი კომისიის მუშაობის წესი:

7.1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

7.2. კომისიის წევრს არ აქვს კონკურსში მონაწილეობის უფლება.

7.3. თუ ორმა ან მეტმა საკონკურსო ნამუშევარმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7.4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

7.5. დროებითი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ერემეიშვილი

David Eremeishvili

Digitally signed by David Eremeishvili
DN: cn=David Eremeishvili, serialNumber=PNOGE-60001027787, givenName=David, sn=Eremeishvili, o=Citizen, c=GE
Date: 2026.08.11 17:27:14 +04'00'